თეკლე დურგლიშვილი

21/05/2005

სკოლა: **კავკასიის მედიის სკოლა**

პროგრამა: **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია**

კურსი: **II**

CU ელ. ფოსტა:**T_DURGLISHVILI@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

მე ვარ თეკლე დურგლიშვილი. დავამთავრე ქ. სიღნაღის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე. ამჟამად ვარ კავკასიის უნივერსიტეტის მედიის სკოლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მე-2 კურსის სტუდენტი.

მომწონს აქტიური ცხოვრების სტილი. ვარ ძალიან ენერგიული, შრომისმოყვარე და მონდომებული. სკოლის პერიოდიდანვე მაქსიმალურად ვცდილობდი, ჩართული ვყოფლიყავი სასკოლო ღონისძიებების ორგანიზებაში, ვიყავი სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე. ჩემი ინტერესებიდან და პიროვნული უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, ვცდილობ, ჩავერთო საუნივერსიტეტო აქტივობებში.

უპირატესობას ვანიჭებ სიახლეებსა და ცვლილებებს, რომლებიც ჩემს ცხოვრებას მრავალფეროვანს ხდის და მეხმარება, როგორც პროფესიულ, ისე პიროვნული ზრდასა და განვითარებაში. მომწონს გამოწვევებთან და სირთულეებთან შეჭიდება და გამკლავება, რაც მოტივაციას მმატებს, უფრო მონდომებულსა და მიზანდასახულს მხდის.

მომწონს სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციის მქონე ადამიანების გაცნობა და დამეგობრება. თავისუფალ დროს ძალიან მიყვარს ცეკვა, ქართული ლიტერატურის კითხვა და მეგობრებთან დროის გატარება.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR